

შპს ჯ.ბ. აუდიტი

ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ზ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ინდივიდუალური/კონსოლიდირებული)	3-4
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ინდივიდუალური/კონსოლიდირებული)	5-6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ინდივიდუალური/კონსოლიდირებული)	7-8
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ინდივიდუალური/კონსოლიდირებული)	9-10
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11-25

შპს ჯ.ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ჯ.ბ. აუდიტი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/Dec/2023	31/Dec/2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,283,473	493,057
არამატერიალური აქტივები	12	4,025	4,025
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		2,050	2,050
გრძელვადიანი აქტივები		1,289,548	499,132
მარაგები		-	5,131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	261,994	148,972
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	14	5,575	17,579
მიმდინარე აქტივები		267,569	171,682
სულ აქტივები		1,557,116	670,814
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		195	195
გაუნაწილებელი მოგება		529,880	575,395
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		944,179	7,913
სულ კაპიტალი		1,474,254	583,502
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები	15	82,863	87,312
მიმდინარე ვალდებულებები		82,863	87,312
სულ ვალდებულებები		82,863	87,312
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,557,116	670,814

დირექტორი

მარიამ ფიცხელაური

ფინანსური დირექტორი

მურად ჯობავა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ჯ. ბ. აუდიტი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31/Dec/2023	31/Dec/2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,283,473	493,057
არამატერიალური აქტივები	12	4,025	4,025
გრძელვადიანი აქტივები		1,287,498	497,082
მარაგები		-	5,131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	264,425	151,680
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	14	7,604	19,168
მიმდინარე აქტივები		272,029	175,979
სულ აქტივები		1,559,526	673,060
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		195	195
გაუნაწილებელი მოგება		537,735	586,686
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		939,463	4,477
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		1,477,393	591,358
არამაკონტროლებელი წილი		71	71
სულ კაპიტალი		1,477,464	591,429
ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები	15	82,063	81,632
მიმდინარე ვალდებულებები		82,063	81,632
სულ ვალდებულებები		82,063	81,632
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,559,526	673,060

დირექტორი

მარიამ ფიცხელაური

ფინანსური დირექტორი

მურად ჯობავა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2023 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	6	723,878	709,462
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(512,850)	(523,171)
სრული მოგება		211,028	186,291
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.	9	932,749	1,789
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(203,027)	(179,505)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		940,750	8,575
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	10	3,429	(662)
მოგება დაბეგვრამდე		944,179	7,913
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		944,179	7,913
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		944,179	7,913

დირექტორი

მარიამ ფიცხელაური

ფინანსური დირექტორი

მურად ჯოზავა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	6	747,844	712,962
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(533,871)	(538,471)
სრული მოგება		213,973	174,491
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.	9	922,749	1,789
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(200,689)	(171,141)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		936,034	5,139
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	10	3,429	(662)
მოგება დაბეგვრამდე		939,463	4,477
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		939,463	4,477
სხვა სრული შემოსავალი <i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად</i>		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		939,463	4,477

დირექტორი

მარიამ ფიცხელაური

ფინანსური დირექტორი

მურად ჯობავა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ჯ. ბ. აუდიტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლისათვის

	ინდივიდუალური დ	ინდივიდუალური დ
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	12/31/2023	12/31/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	833,638	902,964
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,250)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(388,959)	(392,751)
გადახდილი გადასახადები	(265,341)	(236,639)
გადახდილი მოგების გადასახადი		
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გაცემები	(371,770)	(192,477)
საპროცენტო ხარჯი		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(193,682)	81,097
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,140,460)	-
მიღებული პროცენტი	295	-
გაცემული სესხი	(89,500)	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	1,456,486	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	226,821	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(53,428)	(66,821)
მიღებული დივიდენდები	10,000	
კაპიტალის შემცირება	-	(2,862)
კაპიტალის ზრდა	-	860
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(43,428)	(68,823)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(1,715)	32
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(12,004)	12,306
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	17,579	5,273
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	5,575	17,579

დირექტორი

მარიამ ფიცხელაური

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური დირექტორი

მურად
ჯობავა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლისათვის

	კონსოლიდირებულ დ	კონსოლიდირებულ დ
	12/31/2023	12/31/2022
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	857,638	908,864
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,250)	-
გაცემული შრომის ანაზღაურება	(404,835)	(404,511)
გადახდილი გადასახადები	(269,433)	(239,579)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გაცემები	(365,361)	(183,679)
საპროცენტო ხარჯი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(183,242)	81,095
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,140,460)	-
მიღებული პროცენტი	295	-
გაცემული სესხი	(89,500)	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	1,456,486	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	226,821	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(53,428)	(66,821)
მიღებული დივიდენდები	-	-
კაპიტალის შემცირება	-	(2,862)
კაპიტალის ზრდა	-	860
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(53,428)	(68,823)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(1,715)	32
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(11,564)	12,305
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	19,167	6,862

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის

7,603

19,167

დირექტორი მარიამ
ფიცხელაური

ფინანსური დირექტორი მურად ჯობავა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2023 წლისათვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,196	642,215	644,411
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(2,002)		(2,002)
წლის მოგება		7,913	7,913
განაწილებული დივიდენდი		(66,820)	(66,820)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	194	583,308	583,502
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
წლის მოგება	-	944,179	944,179
განაწილებული დივიდენდი	-	(53,428)	(53,428)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	194	1,474,060	1,474,254

დირექტორი

მარიამ ფიცხელაური

ფინანსური დირექტორი

მურად ჯობავა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს ჯ. ბ. აუდიტი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლისათვის

ლარი	კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი			არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,197	653,506	655,703	71	655,774
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(2,002)	-	(2,002)		(2,002)
წლის მოგება	-	4,477	4,477		4,477
განაწილებული დივიდენდი	-	(66,820)	(66,820)		(66,820)
	-				
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	195	591,163	591,358	71	591,429
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-		-
წლის მოგება	-	939,463	-		-
განაწილებული დივიდენდი	-	(53,428)	(53,428)		(53,428)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	195	1,477,198	1,477,393	71	1,477,464

დირექტორი

მარიამ ფიცხელაური

ფინანსური დირექტორი

მურად ჯოზავა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შესავალი

ა)ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯ. ბ. აუდიტი დაარსდა 2004 წელს. ჯ. ბ. აუდიტი ერთ-ერთი წამყვანი აუდიტორული კომპანიაა საქართველოში. კომპანიის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი. შპს ჯ.ბ. აუდიტს ჰყავს 4 სერტიფიცირებული აუდიტორი, ამგვარად, კომპანიის თანამშრომელთა უმეტეს ნაწილს გააჩნია ფინანსური და საგადასახდო აუდიტის ჩატარების დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება.

შპს ჯ. ბ. აუდიტი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. კომპანიას აქვს ბიზნესი თითქმის ყველა დარგში მოღვაწე ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის დიდი გამოცდილება. მათ შორისაა: მშენებლობა, მრეწველობა, განათლება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, საფინანსო სექტორი და სხვა.

2014 წლის მაისიდან „ჯ.ბ აუდიტი“ მსოფლიოში სიდიდით მეორე საერთაშორისო ასოციაციის Leading Edge Alliance (LEA GLOBAL)- ის წევრია.

პარტნიორები	31.12.2023	31.12.2022
ბესიკ ჯობავა	4%	70%
თაკო ჯობავა	15%	15%
თომა ჯობავა	15%	15%
ანა ჯოჯუა	10%	-
მურად ჯობავა	56%	-

2022 და 2023 წელს კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 26 და 24 შესაბამისად.

შპს ჯ.ბ. აუდიტს ჰყავს ორი შვილობილი კომპანია:

1. შპს ბიზნესი და სამართალი (მფლობელობა 100%);
2. შპს ჯ.ბ. აუდიტის ბუღალტერთა გადამზადებისა და აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი (მფლობელობა 70%).

შპს ბიზნესი და სამართალი დაარსდა 2011 წელს, მისი საქმიანობის სფეროა იურიდიული მომსახურებები.

შპს ჯ.ბ. აუდიტის ბუღალტერთა გადამზადებისა და აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი დაარსდა 2010 წელს, მისი საქმიანობის სფეროა საგანმანათლებლო სახის ტრენინგები.

შპს ჯ. ბ. აუდიტი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*

ჯ.ბ. აუდიტის საქმიანობის განხორციელების ძირითადი მისამართია: საქართველო, თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №12ბ. კომპანიას აქვს ასევე ფილიალი ზუგდიდში, კიკალიშვილის №5.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

3. მომზადების საფუძველები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;

შპს ჯ. ბ. აუდიტი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*

- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებულ შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ინფორმაციაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ინფორმაციის დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ამონაგების აღიარება. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან და/ან მომსახურების მიწოდებიდან მაშინ აღიარდება, როცა მოხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფსურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ღირებულება გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	ცვეთის განაკვეთები
შენობები	50 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-15 წელი

ცვეთადი ღრებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე

შპს ჯ. ბ. აუდიტი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*

იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას. არამატერიალურ აქტივებს, რომელთა მომსახურების ვადა უსასრულოა, ამორტიზაცია არ ერიცხება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. კომპანიის მარაგებს შეადგენს წიგნები.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-3 შენიშვნაში აღწერილი ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა

შპს ჯ. ბ. აუდიტი

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*

ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

შპს ჯ. ბ. აუდიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ინდივიდუალური

6. შემოსავალი	12/31/2023	12/31/2022
